შ რ ო მ ი თ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 2
(სანტექნიკურ სამუშაოებზე)

თბილისი *13 მარტი 2014 წ.*

სსიპ თსსუ № 1 სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი *დ. ხვედელიანი,* შემდგომში *"დამკვეთი"*, ერთი მხრივ, და მოქალაქე *მიხეილ გოგიაშვილი* (მცხოვრები ქ. რუსთავში, IY მკ/რ. ორპუსი X, ბინა № 21 –ში, ტელ.: 8 (97) 104018. პირადობის მოწმობა № დ 1180391, გაცემულია ქ. გურჯაანის სრს - ის მიერ 15.07.2008წ. პირადი № 13001011509), შემდგომში *"შემსრულებელი"*, გამოვთქვამთ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

"კლინიკის წინ არსებული საკანალიზაციო ჭის გაწმენდა, შეკეთება და გაბიდვნის გაშვება". კერძოდ:

2. *"დამკვეთი"* ავალებს, ხოლო *"შემსრულებელი"* ასრულებს ქვემოჩამოთვლილ სამუშაოებს:

- ასფალტის საფარის და ბეტონის დამუშავება კომპრესორით;
- მიწის დამუშავება ხელით;
- ჭის ჩარჩო – ხუფის დემონტაჟი და მონტაჟი (ასფალტის ზედაპირზე გასწორება და ამოწევა);;
- ჩარჩო – ხუფის დაბეტონება ჭის ირგვლივ;
- საკანალიზაციო ქსელის გაბიდვნის გაშვება და ქსელის გარეცხვა სპეციალური ტექნიკის გამოყენებით;
- ჭის გაწმენდა;
- ზედმეტი მიწისა და ჭიდან ამოღებული ნარჩენების გატანა;

3. შესასრულებელი სამუშაოების საერთო ფულადი ღირებულებაა 312.50 (სამასთორმეტი) ლარი.
4. სამუშაოები სრულდება *"შემსრულებლის"* ტექნიკური საშუალებებით, მოწყობილობებით, იარაღებითა და მასალებით.

1.4 შესრულებული სამუშაოებისათვის, გასამრჯელოს სახით, *"დამკვეთი"* - *"შემსრულებელს"* ერთჯერადად, მის მიერ მითითებულ საანგარიშსწორებო ანგარიშზე TBC - ბანკში ჩაურიცხავს თანხას *250.00* (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო *62.50* (სამოცდაორი) ლარის ოდენობით ჩაირიცხება თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (საშემოსავლო გადასახადი).

2. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

2.1 *"დამკვეთი"* ვალდებულია:
2.1.1 დროულად აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ გაწეული შრომა.

2.2 *"შემსრულებელი"* ვალდებულია:
2.2.1 დროულად შეუდგეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო(ებ)ის შესრულებას;

2.2.2 შეასრულოს სამუშაო საკუთარი რისკის ხარჯზე;

2.2.3 დაუყოვნებლივ შეატყობინოს *"დამკვეთს"* იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მის შესრულებას.

2.2.4 უსასყიდლოდ, *"დამკვეთი"*- ს სურვილით, გამოასწოროს შესრულებული სამუშაოს ნაკლი და დეფექტები.

2.2.5 დაასრულოს სამუშაო დროულად და დათქმულ ვადაში ანდა ამ ვადაზე უფრო ადრე.

2.2.6 *"შემსრულებელს"*, საჭიროების შემთხვევაში, უფლება ეძლევა საკუთარი ხარჯით მოიწვიოს სამუშაოს შესასრულებლად ნებისმიერი მესამე პირი (პირები).

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 *"დამკვეთი"* აწარმოებს ანგარიშსწორებას შემსრულებელთან სამუშაოების დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ამ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაშია დაუყოვნებლივ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6. დავათა გადაჭრის წესი

6.1 ხელშემკვრელ მხარეებს შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეკზემპლარად თითოეული ხელშემკვრელი მხარისათვის.

"დამკვეთი"	*"შემსრულებელი"*
	მ. გოგიაშვილი
სსიპ თსსუ № 1 სტომატოლოგიური კლინიკა	გურჯაანის რაიონი, ს. გურჯაანი
0102 თბილისი, დ. უსნაძის ქ. №2	
ტელ.: + 995 32 955 932	
საიდენტიფიკაციო კოდი 211328703	პირადობის მოწმობა № დ 1180391, გაცემულია
ა/ა GEO2 7113608010001 8/GEL	ქ. გურჯაანის სრს სამსახურის მიერ 15.07.2008წ.
"TBC – ბანკი"- ს მარჯანიშვილის ფილიალი	პირადი № 13001011509.
კოდი 220101480	
	ა/ა GE56TB7317045063600011
დირექტორი *დ. ხვედელიანი*	კოდი TBCBGE22
მ.ა.	

მ. გოგიაშვილი